საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF LAW

№ 4331/31-05 „04" 10 2024 წ.

დეკანის ბრძანება

№ 8

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დებულების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საგამომცემლო საქმიანობის სრულყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" რექტორის 05/03/2014 წლის №43/01-01 ბრძანების, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის გამოცხადების თაობაზე" რექტორის 19/07/2024 წლის №198/01-01 ბრძანების, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის, დაფინანსების მიღების პროცედურებისა და სახელმძღვანელოების შექმნისა და სათარგმნი უცხოური სასწავლო ლიტერატურის მიმართ წაყენებული მოთხოვნების დადგენის შესახებ" რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 13/09/2024 წლის №247/01-01 ბრძანების, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის

საქართველო, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, 0179
3, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 2 25 04 84 (2234) Tel.
ელ.ფოსტა: law@tsu.ge E-mail

დაფინანსების კონკურსის გამოცხადების თაობაზე“ რექტორის 2024 წლის 19 ივლისის N198/01-01 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 13/09/2024 წლის №248/01-01 ბრძანების, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 3 ოქტომბრის სხდომაზე დამტკიცებული „ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის თაობაზე“ რეგლამენტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსი.
2. დამტკიცდეს ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის ჩატარების წესი (იხ. დანართი).
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს სამეცნიერო დარგში.
4. დაევალოს იურიდიული ფაკულტეტის კანცელარიას ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება.
5. დაევალოს იურიდიული ფაკულტეტის რესურსების მართვის სამსახურს ბრძანების იურიდიული ფაკულტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.
6. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

თამარ ზარანდია

დეკანი, ასოცირებული პროფესორი

დანართი

დამტკიცებულია
სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის დეკანის
2024 წლის 4 ოქტომბრის №8 ბრძანებით

ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის ჩატარების წესი

1. საკონკურსო განაცხადის წარდგენის უფლება აქვს იურიდიული ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს შესაბამისი მიმართულების თანხმობის საფუძველზე, რომლითაც დასტურდება, რომ მოცემული სახელმძღვანელო კონკრეტული დარგისთვის მნიშვნელოვანია.

2. კონკურსში მონაწილეობისთვის პროექტის ხელმძღვანელმა (ინდივიდუალური პროექტის შემთხვევაში – შესაბამისმა აკადემიურმა პერსონალმა) იურიდიული ფაკულტეტის კანცელარიაში უნდა დაარეგისტრიროს პროექტი, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისგან:

ა) პროექტში მონაწილე აკადემიური პერსონალის პროფესიული რეზიუმე და პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) საპროექტო წინადადება (იხ. განაცხადის ფორმა);

გ) ფაკულტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (მიმართულების) თანხმობა (სხდომის ოქმი). ფაკულტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული (მიმართულება) გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უმრავლესობით.

3. კონკურსის ეტაპები:

ა) კონკურსის გამოცხადება - 2024 წლის 4 ოქტომბერი;

ბ) პროექტების რეგისტრაცია იურიდიული ფაკულტეტის კანცელარიაში - 2024 წლის 7 ოქტომბრიდან 2024 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით;

გ) განაცხადების შერჩევა ფაკულტეტის საბჭოს მიერ;

დ) შერჩეული განაცხადების წარდგენა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის - არაუგვიანეს 2024 წლის 1-ელი ნოემბრისა.

ფორმა

განაცხადი*

1. სახელმძღვანელოს სახელწოდება ქართულად (უცხოური სასწავლო ლიტერატურის თარგმნის შემთხვევაში შესაბამის ენაზე):

2. პროექტის ხელმძღვანელი/განმახორციელებელი (სახელი/გვარი, აკადემიური თანამდებობა, პროფესიული რეზიუმე და პირადობის მოწმობის ასლი):

3. სახელმძღვანელოს მოკლე აღწერა (300-600 სიტყვა):

4. სახელმძღვანელოს სავარაუდო სტრუქტურა:

5. პროექტის ხანგრძლივობა/გეგმა-გრაფიკი:

---

* შენიშვნა: საპროექტო განაცხადი უნდა პასუხობდეს შემდეგ ტექნიკურ მოთხოვნებს: Sylfaen 12, 1.5 ინტერვალი, ველი სტანდარტული (2.54 სმ. ზემოთ, ქვემოთ, მარჯვნივ და მარცხნივ), A4 ფურცელი.